



სალიტერატურო და საპეცნიერო ნახაზიანი ზაზეთი. ზაგოდის შოშელ ქვირა ღღს.

№ 19.

მაისი 1, 1894 წ.

№ 19

შინაძრის: დედათა სკოლის დაარსების გამო წყაღტუებისა. — სეყრადღებო ამჟებო. — გაზაფხულაო, პოემის ნაწყვეტი ღღსუ ზეგრელსა. — ზეფე დინიჯრი თვდაღებულა, მკიონველის შენიშნებო სილოვანსა. — ცხოველთა ცხოვრება ზღვა ოყენათა უღსურელში იღო. აღზაზიშვილისა. — სიამის მეფე და მისი სახელმწიფო. — ყაჩაღი, მოიხრობა თარხანსა. — ქრელი ფაქრები ჩოხოსანი, შენიშვნა ავაგისა. — სავაჭრო განცხადებებო.

ლაჯარიან-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“
სასარგებლოდ

ღანაშუნუღა 8 მისის.

ვისაჲ ჰსურს შემოსწიროს ნიეთები ამ ლა-
ტარიისთვის, შეუძლია ეს ნიეთები გაუზზაუნოს
ქნ. ოღეა ათღჯოხის ასუღს ჰამეჰამეჰისას

(ნიკოლოზის ქეჩა სავინოკის სახლი 21)

დედათა სკოლის დაარსების გამო

ბლო ყველამ კარგათ ვიცით, რომ ქალებსაც
ისე ეჭირებება სწავლა-აღზრდა, როგორც ვა-
ჭებს. ქვეყნისა და ხალხის ბედ-იღბალი და-
მოკიდებულა არა მარტო მამაკაცების აღზრდაზე,
არამედ აგრეთვე დედა-კაცების სიკეთეზედაც. ეს ხომ
ვიცით, მაგრამ ჩვენ მაინც არავითარს ყურადღებას
არ ვაქცევთ ჩვენი ქალების აღზრდას.

მხოლოდ ათასში ერთი, ანუ ორი შეგნებული
თავადი, ანუ აზნაური თუ აძღვეს თავის ქალს მთა-

ვრობისაგან დაწესებულ პანსიონებში, თორემ დანა-
რჩენნი სრულიად სავალდებულოდ არ თელიან იზ-
რუნონ თავის ქალების განათლებაზე. ამ სახით, თი-
თქმის, ყველა ახლანდელი ჩვენი პატარა ქალები,
ეს ჩვენი მომავალი დედები, სრულიად უმეცარნი,
უსწავლელნი და ცხოვრებისათვის მოუზზადებელნი
რჩებიან და, რაღა თქმა უნდა, რომ ისინი ვერ აღა-
სრულებენ თავის ღროზე დედობრივ მოვალეობას,
ვერ აღუზრდიან მამულს სასარგებლო შეიღებს. ამას
ისიც დასძინეთ, რომ, სამწუხაროდ, ვერც ის ქა-
რთელი ქალები იზრდებიან ისე, როგორც ჩვენი
ცხოვრება და საჭიროება მოითხოვს, რომლებსთეი-
საც ბედს ურგია ახლანდელი საქალეზო სკოლებში
შესელა, რადგანაც ისინი მოწყვეტილნი არიან ყო-
ველგვარ ნაციონალურ გავლენაზე და თითქმის
ყოველისღვერს სწავლობენ იმას გარდა, რაც მათთვის
უფრო საჭიროა.

ღღს, როგორც მოგვხსენებათ, ყოველი ხალხი
ცდილობს ისე მოაწყოს თავისი სკოლები, როგორც
მისი ქვეყნისა და ხალხსაზობის საჭიროება მოით-
ხოვს, რადგანაც ერთსა და იმავე კალაპოტზე გამო-
ქრილი და გამართული სკოლა ყველასთვის გამო-

სადგი არ არის. ჩვენ კი დღემდისაც არ გვაქვს არც ერთი საკუთარი სასწავლებელი, ესე იგი, რომელიც ჩვენს ქვეყანას და ხალხის მდგომარეობას, ზნე-ჩვეულობას და საქირობას შეფერებოდეს ხოლმე.

მით უმეტეს სასიამოვნოდ გვეჩვენა ყველას, როცა საქოგერთმა ჩვენმა მანდილოსნებმა განიზრახეს საქოგერო სკოლის დაარსება. მაგრამ, საშუაზროდ, როგორც ეკუდათ, საქმე მერის-მეტად გაუძნელდათ და ძლიერ დავიანდა. მოგახსენებენ, სანამდის იმით საქმით თანხა არ ექნებათ ხელში მომავალი საქალბო სკოლისათვის, მანამდის საქმეს არ შეუდგებიანო. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ზოდის უნდა განხორციელდეს ეს კეთილი მათი სურვილი? ავარ, ვგანებთ, ექვსი-შვიდი წელიწადია მას ექვთ, რაც ეს აზრი დაიბნა ჩვენში და ჯერ-ჯერობით ათასი თუმანიც ვერ შეუგროვებიათ. ასე თუ მოვიქცით, შეიძლება ოცი წელიწადიც გავიდეს, რომ საქალბო სკოლის დაარსებას ვერ ვეღობოთ, მაშინ როდესაც თითქმის მთელი ახალი შთამომავლობა ჩვენი ქალბისა ცუდათ მიმართული იზრდება და უპატრონოდ ჰჩნება. ჯერ არვიინ გამოჩინვლა ჩვენში ისეთი, რომელსაც თვალსაჩინო რაიმე შეწირულება ეანდერძებოდა ამ ფრიად კეთილი და საქირო საქმისთვის და სანამდის ჩვენი პატიუკეშულინი მანდილოსნები ათი ათას თუმნის თანხას შეუგროვებდენ, ჩვენ ხომ ჩვენი დავემართება!

ერთად-ერთი წყარო, რომელიც კვებს თვისი მოგებით დღეს ჩვენ სათავად-აზნაურთა სკოლებს და ასე თუ ისე აკმაყოფილებს ზოგერთ ჩვენ საერთო საქირობას, განსაღეთ ჩვენი საადგილ-მამული ბანკები. მიუცილებლად საქიროა ამ ბანკებმა მომავალ საქალბო სკოლასაც არგონ რაოდენიმე ნაწილი თავის მოგებიდან ყოველ წელს, რადგანაც, სხვა არა იყოსრა, მათ თანხაში და მამუსადამე მოგებაშიაც წილი უდევსთ თავად-აზნაურთა ქალბისსაც. წელს, უტყველია ყურადღებას მიაქცივენ ჩვენი ბანკების საზოგადო კრებები ამ საჩიხელს და იმედია კიდევ უნუგვმოდა არ დატოვებენ ჩვენი ქალბის აღზრდის საქმეს. ამ საჩიხელის კეთილად დაბოლოვებით. საქალბო სკოლის მოთავეთა მიეცემათ ღონისძიება დააქარონ ამ კეთილისა და ფრიად საქირო საქმის განხორციელება.

სათავად-აზნაურთა სკოლების დამარსებლებს რომ იმ დრომდის მოეკადნათ, სანამ დიდ თანხას არ შეაგროვებდენ, ვგონებ, დღესაც არ იქნებოდა ეს სკოლები დაარსებული. ამიტომ ჩვენ, როგორც დაარწმუნებით ვიცით, და სხვებიც მრავალნი იმ აზრისა ვართ, რომ ჩვენი მანდილოსნები ახლავე შეუდგენ საქმეს იმ თანხით, რომელიც დღეს ხელთა აქვთ.

უპირველეს ყოველთა საქიროა მათ ადგილი შეიძინონ დედათა მომავალი სკოლისთვის და ბანკის შემწევობით, სხვა რამე ნაირად, სადგომის შემენბას შეუდგენ. როცა საკუთარი სახლი ექნებათ, მაშინ საქმე უფრო გააღვილებდა და დიდი თანხაც საქირო აღარ იქნება, რადგან პირველ წელიწადში შეიძლება მხოლოდ პირველი კლასი დაარსდეს, მეორე წელს—მეორე, მესამე წელს—მესამე მიგატოს და ამგვარად თანდათან იზარდოს სკოლამ, სანამ არ დასრულდება. ბანკს ვარდა, ჩვენი ხალხიც ისე არ გაძუნწდება, არ მიაწოდოს ყოველს წელს დედათა სკოლას თავისი წვლილი, რაკი სკოლის არსებობა და სარგებლობას დაინახეს თავისი თვალით.

ჩვენმა თავად-აზნაურობამ დიდი ხანია განიზრახა ბეგარის გაწერა ურთიერთ შორის შეიღების აღსაზრდელათ და სკოლების დასაარსებლად, მაგრამ ეს კეთილი განზრახვა, როგორც ჰმანს, ამოდენი ხანია მარტო სიტყვითა ჰჩნება და, დმერთმა იცის, ვიღისება თუ არა ოდესმე განხორციელდება. მაშ, ისევე სჯობია რაიმე სხვა ღონე ვიღონათ დედათა სკოლის მალე დასაარსებლად. მაგრამ რა?

ჩვენ აქ გვინდა ვუჩვენოთ ერთი ახალი საშუალება. ძიიელ კარგი იქნება, რომ ყოველმა, ცოტაც არის, შეგნებულმა ქართველმა, ქალმა და კაცმა, იცისა კი გული შეტკევა ჩვენი ახალაზნაურისთვის და ქვეყნის სიყვარული აქვს, თვითონ დაიღოს ბეგარად თითო მანეთის ვადახად წელიწადში. ეს ისეთი წვლილია ყველასთვის, რომ არავის არ გაუჭირდება მისი შემოტანა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, ათი ათასიდან ოც ათასამდე მანიც აღმოჩნდება მთელ ჩვენს ქვეყანაში ისეთნი, რომლებიც თითო მანეთს არ დაიშურებენ წელიწადში ქვეყნის კეთილდღეობისათვის. მხოლოდ ამ საქმეს მოთავენი ექირებებიან და მოთაობა ჩვენმა შეგნებულმა ვაგბატონებმა და ქალბატონებმა უნდა იქნასონ. საქიროა შეადგინონ სიები თავის ნაცნობთა შორის იმ პირთა, რომლებიც იკისრებენ ამ მცირე ბეგარას, თავთავის დროზე შეკრიბონ ფულში და გამოუკეზავეონ საქალბო სკოლის კამბიტსამაზე უაღვილესი საქმე, ვგანებთ, არა იყოს რა. თუ გული გულობს და ჯეროვან ყურადღებით მოეკიდებით საქმეს, ჩვენ აქ თითო მანეთი დავასახებლეთ წლიური ბეგარა, მაგრამ დარწმუნებული ვართ ბეგრნი ისეთებიც აღმოჩნდებიან, რომლებიც ორორსა და სამ-სამ მანეთსაც არ დაიშურებენ წელიწადში ჩვენი საქალბო სკოლისათვის. როცა ჩვენ ცოტად თუ ბევრად შეგნევეით ასეთ ბეგარას, მერე შეიძლება ისეთი დროც დადგეს. იმ იცის, ყოველმა

ქართველმა საგაღმებულოდ ცნოს ეს ბეგარა და ინადოს კიდევ სანამდის ცოცხალი იქნება. თუ ეს არა, სხვა კიდევ უკეთესი რამე ღონისძიება უნდა ეიხმაროთ, რომ დროზე უზრუნველ ვყოთ ჩვენი შთამომავლობის სწავლა-აღზრდის საქმე, თორემ ძლიერ ცუდი ბედი მოგველის.

ახლა ნოამ ისეთი დრო და საუკუნეა, რომ

ვინც უფრო განათლებულია, ვინც უფრო განვითარებულია კვუა-გონებით და მომზადებულია ცხოვრების ასაარგვზე საბრძოლველად, ბურთი და მოედანიც მას ჰრჩება და ხანგრძლივი არსებაც მხოლოდ მას ეკუთვნის.

წყალკუჭელი

საყურადღებო ამბები

ქალათ-უბანს* ეძახიან ტფილისში რკინის გზის სადგურის ჩრდილოეთით მხარე ოღორ-ჩოღორიან და გორაკებიან ადგილებსა. ამ ორი საძის წლის წინად ქალაქს არაგვითარი შემოსავალი ამ ხრიკაგებიდან არ ჰქონდა. რკინის გზის ქაჩხნებში მომუშავე ხალხმა ვადარწყვიტა ამ ხრიკებზე დასახლება იმ იმედით, რომ ტფილისის საქალაქო გამგეობა სიხარულით მიიღებს იმათ და, როგორც უწინ წესად ჰქონდა გამგეობას დადებული, ქალაქ გარეთ დასახლებულთა კვადრატის საყენზე თითო მანეთის გადახვეწინება და ადგილის დამტკიცება დასახლებულთა სახელზე, ახლაც იმ წესით ეგონათ მოეცქეოდა მათ ქალაქის გამგეობა; მაგრამ საწუხაროდ ქალაქის გამგეობამ და ქალაქის საბჭომ, ახლა სხვა თვალით შეხედა ამ საქმეს. ნათქვამია, როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო. ქალაქის გამგეობა მიხედა, რომ ძალათ-უბანში დასახლებული საწყალი მუშისთვის აყრა მეტად სამძიმო იქნებოდა და ყოველს აუტანელს პირობას დაემოხრჩილებოდა, ოღონდ ნუ აყრიან. და, აი, მოხდა საშინელი ამბავი. ქალაქის გამგეობამ პოლიციის შემწეობით ვაჭრებულს მუშა ხალხს მისი ვაი-ვაგლახით და ქაანწყევებით აგებული ქოხები თავზე დაანგრია და ბეტრს აყენიანი ბაეშებიც ვარეთ გამოუყარა. გამწარებულთა დედათა კვიელ-ჩხივილი და ძუძუ-მწოვართა ჩივლთა ტირილი მტეტრსაც მოგვრიდა თვალზე ცრემლს. ასე ვეგონებოდა, ვინმე უსჯულო მტერი შეჰსევია „ძალათ-უბნის“ ადგილებს მცხოვრებლებს და აწიოკებსო. ვინ იცის, რამდენი უბედურება მოხდებოდა, რომ ტფილისის გუბერნატორს თ. გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძეს თავი არ გამოეცდოდა და ქალაქის გამგეობის მიერ ვასეული პოლიცია არ დაეყენებინა და არ ემბანებინა, თქვენ ნუ უხეხებთ, ქალაქმა საპარტილის წესით იძიოს თავის მიწებიო. ძლიერ-ძლივობით შეჩერდა ძალათ-უბნის საწყალი მუშათა ცოლ-შვილის წივილ-კვივილი.

ახლა ძალათ-უბნელებს მიუტკიათ საერთო თხო-

ვნა, როგორც ტფილისის გუბერნატორისათვის, ისე ქალაქის გამგეობისათვისაც, შეგვიბრალეთო და შეგვასყიდეთო ჩვენ მიერ დასახლებული ადგილები, ნუ დავგანგრევთ თავზე ოფლითა, წივითა და დავგით აშენებულ ქოხებს, ნუ ვაგვებთი სიკვდილის ანაბართო.

არ ვცივით, რა შედეგი მოჰყვება ასეთ თხოვნას ძალათ-უბნის ხალხისას, მაგრამ კაცობრიული კანონი და სამართალიც ამას მოითხოვს, რომ ერთხელეც დასახლებული ხალხი ადგილიდან აღარ აიყაროს, რადან ისინი ჰხდებიან ქალაქის ხარჯის მძლეველად და ამ შემთხვევაში ქალაქის გამგეობის პირდაპირი მოვალეობაა მათი მფარველობა და პატრონობა. თუ კი დღემდისაც ზოგიერთი ქალაქის მცხოვრებლებს კვადრატის საყენს თითო მანეთად ჰყიდიან, რატომ ძალათ-უბნელ საწყალ ხალხზედაც არ უნდა ვაგვარცქლონ ეს წესი.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ქალაქის გამგეობა შევა ამ უბედურის ხალხის მღვამარეობაში და მიცემს მათ შეღავათს.

—
 ოცდა ექვს აპრილიდან ქიათურის გზაზე აღარ იღებენ ქვაგუნდას გადასატანად, რადგან მთავრობა დაეპატრონება მას ამ წლის პირველ მაისიდან. ქვაგუნდის ფასი დღეს საოცრად დაცემულია; ამის მიზეზი უნდა იყოს ზოგიერთი უცხოელი ქვაგუნდის მწარმოებლის შეღვევება ადგილობრივ მწარმოებელთან, როგორც მაგალითად ავეგვინო არის გედ. ჩუბინიძესთან. ჩვენმა მწარმოებლებმა კვუა მოიკრიბებს და იფიქრეს ერთად შეერთება, რომ უცხო ქვეყნის მყიდველებს კლანჭებისაგან თავი დაეღწიათ, რომ მწარმოებლების ნებაყოფლობაზე უფრო ყოფილიყო ფასი დამოკიდებული, ვიდრე უცხო ქვეყნის მყიდველებზე; მაგრამ როგორც ეტყობა, აქაც იმუშავა ჩვენებურმა ანდაზამ: „კიხე შონიდან ვატყუებო.“ ეჭვი არ არის, რომ ავეგვინოს უცხო ქვეყნელ მყიდველებთან აქვს ცუდი ვადაბმული და გედ. ჩუბინიძე იარაღათ ჰყავს; შეიძლება იმათ ავეგვინოს ფულიც მისკენ, რომ ფასები დასწიოს იმ განზრახვით, რომ ადგილობრივმა მწარმოებლებმა პირი არ შეკრან.

გ. ჩუბინიძეს და მის ამხანაგს ავეკირნოს რა ენაღ-
ლელებათ: ალბათ ორივე მხრივე ტყავს აძრობენ შინა-
ურებს და გარეულებსაც; მაგრამ ჰქონ მწარმოებლებს
პირი რაღათ დაუღლიათ, რადგამ არ იციან, რომ ცო-
ტაოდენი მოთმინება თუ ექნათ და ერთიანად პი-
რობა შეჰკრეს, ისეთი დრო დაუდგებათ, რომ წა-
გებულს ერთი ათად დაიბრუნებენ, იმათ უნდა იცო-
დნენ კარგათ, ენ არის ნამდვილი მათი მტერი და
საჩქაროდ კრიკა შეუტრან.

საწყალი ნინოშვილი, ეს ზენი შესანიშნა-
ვი ბელეტრისტი, რომელიც დიდს იმედებს გვაძლე-
ვდა, დღეს ყოველად უნუგეშო მდგომარეობაში ჩაეარ-

დნილა. ეს არის, ჯიბლაძიდან მოგვივიდა მისი ამბავი:
„ვენატე (ნინოშვილი) ახლა სოფელშია. აქ არჩია
დალიოს უკანასკნელი დღეები თავის მწარე სიცი-
ცხლისა. თუთხმეტი დღეა, რაც დაეცქირით მის აუ-
ტანელ ტანჯვას. ბათუმის ექიმების სიტყვით, ის ამ
გაზაფხულს ვერ გაატანს. მად სულ დაეკარგა, ხმა
ჩაუწყდა, ლოგინიდან ევლარ დგება. მიუხედავად ამი-
სა, როცა უკეთ იგარძნობს თავს, ცდილობს განა-
გრძოს თავისი ახალი მოთხოვნა „პარტახი, მაგრამ
ამაოდ. კალამი ხელიდან უფარდება და საშინელი
მწუხარებით იწყებს მწარე ოფლში ცურვას“. ასე
ლევს სულს ეს კეთილშობილი ადამიანი“.

გ ა ზ ა ფ ს უ ლ ი ა ! . .

(ჰოქის ნაწევრები)

I



აზაფხულია!.. ბუნებამ
თვლიძრო თეთრი სუღარი
და შეიმოსა მწვანითა
მთა, ბარი, ტყე და ბუჩქნარი; —
მზე გამობრწყინდა, ჰკავსაშემს
ცა, ლაფეარდადა ქცეული
და დეღამიწა პატარძალს
ჰგავს, ტურფად აყვავებული! —
გაზაფხულია!.. ტკბილი დრო
ბუნების მკვდრებით აღდგომის,
დრო მოძრაობის, სიცოცხლის,
დრო სიყვარულის და შრომის!

II.

ფუტკარი, ბუზი, პეპელა
ყვავილებს დასტრიალებენ;
მერცხალნი მოუსვენარად
ჰაერში დასტრიალებენ. —
ხან კოლოებსა იტერენ,
ხან ჰიკიკობენ, ჰგალობენ
და შეენიერს ბუნებას
ქებას უძღნიან, ამკობენ; —
სულიერი და უსულო
ყველა სიცოცხლეს ესწრაფვის,
ყველა მოძრაობს, ყველასა
გული სიამით ემსჯელებს!

III.

მეშაქნო, თქვენ-კი რას შერებთ
დაუწყეთ თესვა კანასა?

ხომ იცით, „პურსა არსების“
თქვენ აძლევთ მთელს ქვეყანასა?
წადით, ბედ-კრულნი, იშრომეთ,
წადით და გქონდესთ იმედი;
გაზაფხულდება თქვენთვისა
და გაგიღიმებსთ თქვენც ბედი;
დადგება შრომის სუფევა,
ზნელსა დაპირგუნავს სინათლე
სიცრუე აღმოიფხვრება
და გამეფდება სიმართლე!..

IV

ეთა მალხაზი ცმაწილი,
როცა დაპალაღეს თამაში,
მირბის საყვარელ დედისკენ,
რომ ჩაუგორდეს კალთაში,
აგრეთვე დიდებული მზე,
ღონე მიხილი დღის შრომით
მიეშურება დასავალს,
რომ მოსიყენოს განცხრომით;
შემოიკრიბოს ძალ-ღონე
ქვეყნის კვლავ სამსახურად
და ამოვიდეს ხელს იმე
ღიად, მისებურად!

V

ჰა, ერთხელ კიდევ ქვეყანას
მან გაულიმა ტკბილად
და ჩაყენა უფსკრულში,
ცა შეიღება წითლად —
და გაფანტულნი სიერცეში
ღრუბლნი ნაქერ-ნაჭერად,
ეთ ნაკერცხალნი აენთენ,
გაბრწყინდენ სხვა-და-სხვა ფერად.
ცოტა კიდევ და ბინდი

მოიკავს არე-მარესა,
ვარსკვლავნი ფერხულს დაბმენ
და გართობენ მთეარესა...

VI

მაშინ ბუღბუღი შორს სადმე
აიმღვლეარებს ენასა,
დაჰყეფს, დაუსტევენს ციურ ხმით,
დაატკობს ყურთა სმენას!

ვიშ ამ შევნიერს ბუნებას,
ვიშ ამ უცნაურს საღაოს,
სუნენლებითა აღესებულს,
ვიშ ამ ჭაერსა საამოს!
ნეტაე იმას, ვინც ალა,
ოცნებებითა დამტკობარი,
სატრფის მიელის, თრთის, ლელავს,
წმინდა გრწობითა გამთბარი!..

დასუ შერგულა

„მეფე დიმიტრი თავდადებული“

საგ. ივ. ჭავჭავაძის ნაქმბ
მკითხველს შენაშენებო



ოკნი ფიქრობენ, შინაარსია თაეი და ბოლოვო.
თუ შინაარსი კარგია, გარეგანი ფორმა სუ-
სტიცი რომ იყოს, შინაარსს ამით ბევრი არა-
ფერი დააკლდება.

შემდგარი აზრია, როგორც აუწყობელ ჩონგუ-
რზე დაკრული რამე ხმა, რაც უნდა შევნიერთი იყოს
თაეის თაეით, განვითარებულ სმენას ენათიერება და
შეხიზლება კიდევაც, — ისე თხზულებაც, რაც უნდა
შესანიშნაეი იყოს შინაარსით, თუ მისი გარეგანი
ფორმა უხეიროა, არ ჩათვლება ხეიოიან თხზულებ-
ბათ, არც მოეწონება იმისთანა მკითხველს, რომე-
ლსაც ლიტერატურული სმენა და გემოვნება განვი-
თარებული აქქს.

„დიმიტრი თავდადებული“ დაწერილია 1830
წელში, ე. ი. აეტორის მწერლობით მოღვაწეო-
ბის ოც-და-მესამე წელში, — მაშასადამე, შეგვიძლია
ეთქვათ, რომ ამ დროს ჩვენი პოეტო საემოიდ დახე-
ლოვნებული უნდა ყოფილიყო ლექსთ-წყობასა და
ენის მიზრა-მოზრანში. სამწუხაროთ, ამ პოემანში ბევრ
შედლოშასა და წინდაუხედაობას ემოულობთ, რო-
გორც ერთში, ისე მეორეშიაც. აეილოთ ჯერ ლექსთ-
წყობა.

როგორც „შაირი“, ე. ი. იმისთანა ლექსი,
როგორათაც „ვეფხისტყაოსანი“ არის დაწერილი,
აგრეთვე „რეული“; ე. ი. იმისთანა ლექსი, როგო-
რითაც დაწერილია, მაგ., „დიმიტრი თავდადებული“
ორგეარია. აეილოთ მაგალითათ რეულის ერთი ხა-
ნა.

მოლით, შეილნო, აქ მოგროვლით,
გეტყეით გულის გასართობსა,
ვინ ეიყავით, რა ეიყავით
ჩვენ, ქართველნი, წინა დროსა.“

ამ ხანაში თითოული სტრიქონი შედგება ორის
ცეზურისაგან და თითოულ ცეზურაში მარცვლების
თანასწორი რიცხვია, ე. ი. ოთხ-ოთხი; პირველ სტრი-
ქონში, პირველი ცეზურაა; „მოლით შეილნო,“ მეო-
რე — აქ მოგროვლით; მეორე სტრიქონში პირველი
ცეზურაა. აგეტყეით გულის“, მეორე — გასართობსა;“
და სხვა. კითხვაშა თითოეულ ცეზურაში ხმის ამა-
ღლება უნდა მოხდეს თაეიდან მეორე მარცვალზე.
ამისთანა „შაირს“ ან „რეულს“ ჩვენ, ეუწოდებთ სახე-
ლათ მღაღი შაირი, ანუ მღაღი რეული. ლექსთაწყო-
ბის ნიშნებით რა გამოვხატოთ, მღაღი რეულის
ერთის სტრიქონის ცეზურები ასე გამოიხატება:
ა—ა | ა—ა. აეილოთ კადეე რეულის ხანა:

„ამდენი სული უბრალო
ტარჯითა ამოწყდებია,
საწყალის ხალხის ცოღვითა
ქეანიც კი ატირდებია.“

ამ ხანაშიც თითოული სტრიქონი აგრეთვე
ორ-ორ ცეზურისაგან არის შემდგარი, მაკამ ყველა
ცეზურა თანასწორი არ არის, — თითოულ სტრი-
ქონში პირველი ცეზურა შეიკავს ხუთ მარცვალს
და მეორე — სამს; მაგალითად, პირველ სტრიქონში
პირველი ცეზურაა „ამდენი სული“, მეორე — „უბრა-
ლო“; ასეა შემდგარი დანარჩენი სტრიქონებიც. ამი-
სთანა ლექსს ჩვენ ეუწოდებთ სახელათ დაზღ შაირს
ანუ რეულს. დაბალი რეული ნიშნებით ასე გამო-
იხატება: აა—ა | აა—ა *)

თუ ეს წესი დარღვეულია ლექსთ-წყობაში და
რომელმე ხანაში მღაღი და დაზღი ლექსი ერთიანეთში

*) მღაღ შაირში თითოეულ სტრიქონში ოთხ-
ოთხი ცეზურაა და თითოეული ცეზურა ოთხ-ოთხის
მარცვლისაგან შედგება. დაზღ შაირშიც თითოეული სტრი-
ქონი აგრეთვე ოთხ-ოთხი ცეზურისაგან შედგება, ხოლო
ცეზურების ზომა შემდეგია: პირველი და მესამე, ხუთ-
ხუთ მარცვლისაგან შედგება, მეორე და მეოთხე კი
სამ-სამიდან.

არეულია, იმისთანა ლექსს ლექსი არ ეთქმის, და ჩვენის აზრით, დანგრეულ ლექსს ისევ დანგრეული პროზა სჯობია.

„ღიმიტოი თაყვანდებულში ერთობ ხშირათ არის დარღვეული ლექსთ წყობის შემოსხმენებული კანონი, ამის მაგალითი თითქმის ყოველ ხანაშია; მაგრამ ჩვენ ჩასაკვირველია ყველას აქ ვერ მოვიყვანთ.

ავიღოთ ორიოდ მაგალითი:

... „იმ დროს, როცა ქართლის ბედი ჩვენ ქართველთვე გვეყარა ხელში, როცა მამულის შვიდობა სასახლოდ იყო ჩვენში.“

ამ ხანაში პირველი, მეორე და მეთრე ტაე-პი მადლია, და მესამე ტაეპი კი დაბალი.

„უცბე მეფემ თვალი მოჰკრა, ხალხს გაიხადვა შუაშუგა

ორს მარჯვე ბიჭს ბერიკაცი მოჰყავთ მის წინ მოედანხედ.“

ამ ხანაში მეორე სტრიქონი დაბალ რეველისაა, დანარჩენი კი — მადლის...

პოემა შეიცავს სულ 17 ფურცელს (34 გვ.) და ამ ჩვიდმეტ ფურცელზე არეული ლექსთაწყობა ჩვენ დათვალეთ სულ ოთხმოც-და-თერთმეტი. არა გვერდია, რომ ასე დაწყობილი ლექსი მუსიკალურათ და პარამონიულათ ჩაითვალოს.

პოეტს ისე მძიმე ფორმით აქვს გამოთქმული აზრი, რომ კაცს წაკითხვაც გაუჭირდება, როგორც მაგალითათ, პოემის დასაწყისში (გვ. 188):

„კარგს მთქმელს ტყვეთ რჩების“...

უმუსიკალობასა და უპარამონიობას ის გარემოება ზღვს უწყობს, რომ ჩვენი პოეტი რითმების სიმდიდრეს უყრადღებებს არ აქცევს, ერთობ მიძიმება და ხმაშუუწყობელ რითმებს ხმარობს ხშირათ: „ბოქვა“ — „წაღობა“ (გვ. 188), „გასათობსა“ — „წინა დროსა“ (გვ. 189), „ხელში“ — „ჩვენში“ (იქვე), „როდი იყენენ“ — „შესწორიღენენ“ (იქვე) „გვიხაროდა“ — „ემატებოდა“ (იქვე) და მსგავსათვე თითქმის ყოველ ხანაში.

ახლა პოემის ქართული გაცნინჯოთ.

„უქმე ღლე იყო; ტვირთ მძიმეში და დამაშვარალი საყდრის წინ ჯგუფათ ხალხი იღვა და ჰყაყაყანებდა“ (გვ. 188).

„ტვირთ-მძიმეში“ არ გვესმის, რა გრამატიკით არის ნახმარი! უთუთო პოეტს ლექსისთვის დაჭირებია მეტი მარცვალი და უკანონო უხმარია რიტმე; მაგრამ ჩვენ დიდი წინააღმდეგი ვართ ამისთანა „ლიცენცია პოეტიკა“-ების; ვანა „ლიცენცია პოეტიკა“ იმაში მდგომარეობს, რომ — „რა გისტი-

რდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლენა“ „პოეტმა ენა დამახინჯოს უწნო ფორმებით? ჩვენ, როგორც გვახსოვს, უწინდელ გამოცემებში იყო „ტვირთ-მძიმე და დამაშვარალი“, და ისევ სჯობდა ასე დარჩენილიყო.

191 გვერდზე პოეტი ხმარობს ფორმას „იყვეს“ შემწეობით. ზმნის ამისთანა ფორმას ჩვენ არც ერთ ხერიან თხზულებაში არ შეგხვედრივართ; არის მეორე ფორმა (იყოს), და განვითარებული სმენა ამ ფორმას ყოველთვის უფრო კეთილ ხმოვანად ჩათვლის; და თუ რითმისთვის უნდადა პოეტს ეს ფორმა, ვერაფერი შეწყობილა რითმა, „კაცად იყვეს“ და „უნათვიდეს!“

190 გვერდზე: „საწყველ ფურცელ თაე ჩვენი გაღვიძრეთ.“ წინეთ პოეტი ხმარობდა „მწველელ ფურცელ“ ახლა შეუცვლია „საწყველ ფურცელ“; და არც ერთი არ არის კანონიერი; რადან ხალხი ამბობს „მწველი ფური“ ანუ „მწველი ძროხა“-ო, და არა მწველი და საწყველი. (192 გვ.)

„ღამით თურემ ჩიცვამდა უბრალო კაბა გუბასა, წაეა და ინახულებდა საწყალის ხალხის უბანსა.“

და კიდევ: „ეის, რაც გულში დარდი ჰქონდა, წაეა, იმას შესივლებდა“ და სხე.

„წაეა და ინახულებდა“ „წაეა, იმას შესივლებდა“ მეტის მეტი უკანონობაა დროთა შეთანხმებაში, და თუ ვერც „ლიცენცია პოეტიკა“ — მაშინ უნდა ვთქვათ, რომ „ლიცენცია პოეტიკა“ თურმე ენის დამახინჯება ყოფილა...

გვ. 197 „წაყალს შეილის შეილაშიღი“ ალბათ ესეც ლიცენციაა „შეილის შეილაშიღი“!

გვ. 202: „ამშვენებს“ — ერთობ უწნო სიტყვა უნდა იყოს „ამშვენებს“.

გვ. 204: „მშველია“ — უნდა იყოს „შველია“ („შველი. შევილის, და არა მშველი, მშველის“).

გვ. 206: „მკერდზე სცემდა თოვლივითა მოხუცებულს თეთრი წვერი,“ — ალბათ აეტარს იმ აზრის გამოხატვა ნდომებია, რომ მოხუცებულს თოვლივით თეთრი წვერი მკერდზე სცემდაო, და აქ კი გამოდის, რომ თოვლივით სცემდა თეთრი წვერიო; სიტყვები ასე უნდა იყოს დაწყობილი;

„მკერდზე სცემდა მოხუცებულს თოვლივითა თ თრი წვერი.“

კიდევ შეგვეძლოა — ამოგვეწერა რამდენიმე ადგილი, სადაც ჩვენის აზრით, შეცთომებია ენაში, მაგრამ, რაც ამოგვეწერეთ, ესეც საკმაოდ გვიმტკიცებს, რომ, პოემის სხვა ნაკლებდევნებას ქართულ ენის აღნიშნული უსწორ-მასწორობაც რომ დაუშვებოთ,

მაშინ პოემა „დომიტრი თავდადებული“ არა თუ შესანიშნავ პოემათ არ ჩაითვლება, არამედ ძლიერ სუსტ ქმნილებათ უნდა ჩაირიცხოს.

რაც უფრო ხელოვანია მწერალი, მით უფრო ყურადღებით უნდა ექცეოდეს ის თავის კალმის ნაწარმოებს: უბრალოსა და საშუალო მკითხველს ამისთანა მწერლის ნათქვამი და დაწერილი უტყუარ ჭეშმარიტებით მიაჩნია და თუ შეცთომები რამე აქვს, ცხადია—მეტო ცუდლ გავლენა ექნება ხალხზე; ამიტომაც კრიტიკა მოუფრთხილად უნდა უჩვენებდეს მკითხველს, რაც კი ნაკულუცვანება და შეცთომა მოპოვება იმისთანა მწერლს თხზულებებში, რომ

მელსაც; რა მიზეზითაც უნდა იყოს, ხალხის ნდობა და ყურადღება დაუქმნახურებია. და რადგან ჩვენი კრიტიკოსები ამისთანა მწერალთ უფრო ეპირამოთენებთან და სრულიად ხმასაც არ იღებენ მით ნაკულუცვანებაზე, ამიტომ ჩვენ ავიღეთ კალამი და მოუჩინებლათ აღვიარეთ აქ ჩვენი გულწრფელი აზრი და შეხედულება. ჩვენი აზრით ილ. ჭეჭვაძისთანა მწერალი უფრო არ ქნდა საჭიროებდეს ხელის დაფარებას და პირში მოუფრთხილას, რადგან ნაკულუცვანებასთან ღიისებაც ბევრი მოპოვება მის თხზულებათა შორის.

ქუთაისი 1891 წ.
30 მარტს

სილოვან

სიამის მეფე და მისი სახელმწიფო


წნდოეთი ორი დიდი ნახევარკუნძულისაგან შეზღბება. დასავლეთის ნახევარკუნძულს ჰქვია დეკანი, რომელიც ახლა ინგლისის ხელშია სრულად თავის ჩრდილო-დასავლეთის ვრცელ ქვეყნიანა ავგანისტანისა და ბუზარის საზღვრამდის, საიდანაც დევშეება სამხრით და აღმოსავლეთით ორი დიდი მდინარე: ერთია—ინდუსი, რომლის კიდემდე ოდესმე დაეჭრა მთელი სპარსეთი და დასავლეთის აზია აღექსანდრე მაკედონელსა; მეორეა მდინარე განგესი, რომელიც ინდოელებს წმინდა წყლად მიაჩნიათ და სადაც ოდესმე ღმერთი ბუდა სამპიროვნებით: ბრამა, კროშნა და ვიშნუ-განბანილა და ცხოვრებულა. აღმოსავლეთის მხარეს ინდოეთისას ჩინეთამდის შეადგენს ნახევარი კუნძული ინდო-ჩინეთისა, რომელსაც წაუგატლებია თავისი ტანი ინდოეთის ზღვაში და ამ ტანზე აბია კიდევ ვრცელი კონსი—მთელი დიდი ქვეყანა—მალაკის ნახევარკუნძულისა ინდო-ჩინეთის ნახევარ კუნძულზე მოთავსებულა სამი დიდი სახელმწიფო: ბირმა, რომელიც სიერკით გერმანიაზე მეტია და შეადგენს ინგლისის სამეფომბელოს, მას შემდეგ მდებარებს სიამის სამეფო, სიერკით იტალიის ოდენი და სიამს შემდეგ ანამის ქვეყანა, რომელიც ეკუთვნის ახლა საურანგეტს და თითქმის საურანგეტს უდრის სიერკით. ამ სახით სიამის სამეფო ინგლისსა და საურანგეტის სამეფოებულაებს შუა არის მომწყვდეული ინდო-ჩინეთის ნახევარკუნძულზე. ასეთი მდებარება სიამის სახელმწიფოსი დიდს სასურველს არას წარმოადგენს მის სახელმწიფო სახლისათვის, რადგან აღრე თუ გვიან ამ ქვეყანას გაიყოფენ ერთ-ანეთში ორი ძლიერი სახელმწიფო—ინგლისი და ვაფრანგეთი.

თეთი სიამის სახელმწიფო სახლის წარმომადგენელი, ახლანდელი მეფე სიამისა, კარგათ ჰგონობს ამას და ყოველდღისიძიებას ხმარობს, რომ მოამზადოს თავისი ქვეშევრდამები. როგორც ჰქანს, იმს შეუგნია, რომ აუკვლის კურდღელს ადგილის მწე-



სიამის მეფე.

ვარი უნდაო და ამის გამო არაფერს ზოგავს, რომ თავის ქვეშევრდამს ერს შეუთვისოს ევროპის განათლება. მან ყურამდის გაულა თავის სამეფოს კარი ევროპიელებს, რომ იმათი დახმარებით განათლება





სიამის მღვდის სამარხი უბატუბაში

მოქმედის თვის ქვეყანაში. სიამის მეფემ მიიღო ნელები. ისინი წერთიან სიამელ ჯარს ევროპულ სამსახურში სახელმწიფო მოხელეებათ ევროპელები. წესზედ სამოქალაქო წესწყობილებაშიაც; ბევრი განსაკუთრებით მრავალი სიამის სამეფოში გერმანული წესებია იქ შემოღებული, უკანასკნელში

სიამის მეფემ ფრი-ხულალო-კლომ გამართინა შეე-
ნიერი ჯაგშნაინი გემები, გააკეთებინა რკინის გზა
თავის სატახტო ქალაქ ბანკოკამდის და გამოაწყო
საკუთარი ჯარი ევროპულ წესზე, მისცა ხელში მას
ახალი სისტემის თოფები და ზარბაზნები, თვით მე-
ფემ თავის ქვეყნის ტანსამოსი შეცვალა ევროპულ-
ზე. როგორც ნახატზე მხანს, იმას აცოა გერმანელი
სამხედრო ტანსაცმელი.

ძველ დროს სიამის სამეფო რომ ინდოეთს არ
ჩამოუყარდებოდა განათლებით, ამას ამტკიცებს მისი
შვენიერი ბუდის სარწმუნოების ტაძრები თავის და-
დებული ძვირფასი სამკაულებით და შინაგანი მორ-
თულობით, ამათ აშენებული აქეთ ვრცელი დარბა-
ზები მიცვალებულთა დასასვენებლად. ამ დარბაზებ-
ში არიან სევთა გუნდები; ისინი მჭამენ მიცვალე-
ბულებს და გატკლიან ხოლმე ხორცისაგან მიცვალებუ-

ლთა ჩონჩხებს. შემდეგ ამ ჩონჩხებს დაჴვენ ცალკე გა-
კეთებულს ლუმედებში, ბუდის სარწმუნოების აღმსა-
რებელთა სწამთ, რომ მხოლოდ ის მიცვალებული
აღლდება მკდრებით მეორედ მოსელის დროს, რო-
მელიც ამ სოფლად დაიწვის. მიცვალებულს დიდი
პატივით გასვენებენ ხოლმე. ამასთან უნდა დაიწვას
მთელი მისი სიმიდრე და მორთულობა; ხშირად
მისი ქერიციც მასთანვე დაიწვავს ხოლმე თავს. ფერ
ფლი მიცვალებულისა, თუ მდიდარია, ტაძარში ინახება
ცალკე ურნაში (თაზის კათასში) და თუ ღარიბია, მი-
ცვალებულის ფერულს გააჩივებენ. აქ დახატული ტა-
ძარია თვით სიამის მეფის სამარხია. ამ ტაძარში დგას
რეგ-რეგათ ჩამოშკრივებული ძვირფასი ხელობის
კათხები, რომლებშიაც ინახებიან მეფეების ფერფ-
ლეობა. „



ცხოველთა ცხოვრება ზღვა-ოკეანეთა
ფუესკრულში.

I.

2 ამოწილის მეციერის გუშპოლტის გამო-
აწვარიშებით ზღვა-ოკეანეთა წყლებს სიღრმე
ოთა შუა რაცხვით სამ ვერსს უღრის, მა-

გრამ, ზოგან ეს სიღრმე შეიდ ვერსზე მეტი აღმო-
წნდა.

ჩვენი დროის მეციერითა შარის ბევრჯელ
ყოფილა აღძრული კითხვა: შეუძლიათ თუ არა
ცხოველებს ზღვა-ოკეანეთა საშინელ სიღრმეში და
ბნელ წყვილადში ცხოვრება? პროფესორი ე. ფორბსტი,
ბუნების კანონების ძალით, ამტკიცებდა, რომ ზღვებში
ორას საყენს ქვეით ცხოველთათვის სიცოცხლე

ყოფილად შეუძლებელია. ამ მეცნიერს ბევრი მომხრე გამოუჩნდა და ლეენიცი მისი აზრისა იყო.

ეს მეცნიერები, აი, რა საბუთებით ამტკიცებენ თავიანთ აზრს:

ცნობილია, რომ შვის სხივები წყალში მაგდენად ღრმად ვერ ჩადიან. მღერიც წყალში სინათლის შუქი მხოლოდ ორმოცი საცენის სიღრმეზე ჩატანს ხოლმე და თუ წყალი ანკარა-სუფთაა, მაშინ სინათლე სამოც-დაათსავე წაქცევიან. ამ სიღრმეს ქვევით კი საშინელი ბნელი უკუნი სუფევს.

შეიძლება იკითხოთ, როგორ გვიგეს მეცნიერებმა, რომ ზღვაში 500 ფუტს (ფერსს) * ქვევით შვის სხივები შუქს ვეღარ ჰხევენ.

მეცნიერებმა ეს, აი, როგორ გვიგეს: მოგვხსენებდნენ, რომ ფოტოგრაფია სინათლზე დაყრდნობულია — მოგანილია იმისთანა მინა, რომელიც ძრიელ მგრიანობაზე სინათლის და რომელზედაც გამოიხატება ხოლმე შიგ ჩახედული საცენები. აი, ამგვარი მინა („პლასტინკა“-პლაკი) მოათავსეს კოლოფში, დახურეს მჭიდროთ სახურავი და სიღრმის საზომ თოკით ჩაუშვეს ზღვაში. კოლოფის სახურავი ელექტროთი ისე იყო მოწყობილი, რომ რა დროსაც უნდოდათ, ზღვაში ჩაშვებულს ცოტახნობით ახდიდნენ და მერე ისევ დახურავდნენ. ვიღაც კოლოფს ხუთას ფერსს ქვევით ჩაუშვებდნენ, მინაზე ყოველთვის გამოიხატებოდნენ ხოლმე სხვა-და-სხვა საცენები, ანუ ზღვის ცხოველები, მაგრამ 500 ფერსის სიღრმეს ქვევით კი „პლასტინკა“-პლაკი ყოველთვის შეუცვლელია რჩებოდა და მასზე აღარაფერი გამოიხატა. ამ გვარად დაამტკიცეს, რომ 500 ფერსის სიღრმის ქვევით წყალში სინათლე აღარ არის.

ეთქვათ, რომ 500 ფერსის სიღრმეზე მკრთალი ნათელია, რომ სინათლის შუქი ძლიერ-და ბეჭუტავს და ამის გამო „პლასტინკაზე“ (პლაკზე) გავწვთ აღარ აქვს. ამისთვის შეიძლება ასი ფერსი კიდევ ზედ მივიღოთ, მაგრამ რომ 600 ფერსს, ან ოთხმოც-დაათსავე საცენს ქვევით სრული წყალდიდობა და საუკუნოდ ბნელი უკუნი მფეობს, ამაში მეცნიერებს არავითარი ეჭვი აღარა აქვთ.

მეცნიერებს უმთავრესად ეს ჰქონდათ საბუთად და ეგონათ, რომ სიბნელეში. უსინათლოდ არავითარ ცხოველს სიცოცხლე არ შეუძლია.

* ფუტი — ზომაა, წარმოადგება დაიანუხსი სიტყვისაგან Pes-ფერსი. ზეინ გეჰინი ძველად ეს ზომა დაწვედა „ფერსი“ ანუ ფერსი; მართლაც ეს ზომა კაცების ფერსის სიგრძეა. ამისთვის გუდაარ ექნება ჩვენი ძველი დროის ტყუილი ისე აღვადგინოთ და ფუტის მატერიათ ვისმართო „ფერსი“.

მეორე საბუთიც, აი, რა იყო; — წყლის სიმძიმე ისეთი საშინელია, რომ ათას საცენის სიღრმეზე ერთს კვადრატულ დიუმიზე 75 ფუტი წყალი აწეება ზევიდან, მაშასადამე რა ცხოველი გაუძლებს, რომ ამოდენა სიმძიმე აიტანოს.

გარდა ამისა მიზეზად ის მოჰყავდათ, რომ ზღვათა-ოკეანეთა მხოლოდ ზედა პირია მოძრაობაში, ორას საცენს ქვევით მთელი ზღვა წყალი სრულებით უძრავად დგას და მაშასადამე იქ ვერა ცხოველი ვერ იცხოვრებს.

ამასთანავე მეცნიერები იმასაც ფიქრობდნენ, რომ კიდევ შეიძლებოდა ზღვა-ოკეანეთა უფსკრულში ცხოველთა ცხოვრება, მერე რა უნდა ჰქამონო? სხვა არა იყოს რა, საზრდოს უქონლობით ყველა ცხოველი ამოწყდებოდა.

ერთი სიტყვით ამ სამოციოდე წლის წინეთ გამოჩენილი მეცნიერები თითქმის ყველანი იმ აზრისა იყვნენ, რომ ორას საცენს ქვევით ზღვა-ოკეანეთა უფსკრულში არავითარი სიცოცხლე არ არის და მთელი ამოდენა ზღვა-წყალი უსარგებლოდ უძრავად და უსიცოცხლოდ ცარიელი დგას.

მაგრამ გამოჩნდნენ მეცნიერები კარპენტერი, მილნ-ედვარსი, სარსი, ავასისი და სხვანი, რომელნიც სრულებით წინააღმდეგ ამ აზრს და დავიანებით ამტკიცებდნენ, რომ ზღვა-ოკეანეთა უფსკრულში მრავალნირი ცხოველები უნდა იყვნენ დასახლებული. იმავე დროს თეორეტიკულ მოსაზრებით ბევრმა ზოლოგმა უარ ჰყო ფორბსტის და ლეენის მიერ საფუძვლად აღსარებული ბუნების კანონები.

ბოლოს მეცნიერების გამოკვლევით მართლად დამტკიცდა, რომ ცხოველებს არც სიბნელისა ეშინათ და არც წყლის სიმძიმისა.

ამ ჩვენი საუკუნის ნახევარში გ. გულდსერმა ზღვაში აღმოაჩინა 300 საცენის სიღრმეზე სხვა-და-სხვა გვარი ცხოველები — კობები, ზღვის ვარსკვლავები, ზღვის ძვარბები და ს.ა., რომელნიც მთელ კოლონიებად იყვნენ დასახლებულნი. გულდსერის ამგვარ აღმოჩენით ძრიელ დედაცურდნენ მეცნიერები. 1855 წელს ამერიკელმა პროფესორმა ბელიემ ატლანტის ოკეანეში მოახდინა გამოკვლევა და ოთხი ევრსის სიღრმიდან ამოიღო ლეკი, ანუ ტალახი, რომელიც სასენ იყო ათას ნაირ წყრილმან ცხოველებით, ლოკოინებით, ღრუბლებით და სხვა... მესამოცე წლებში ზღვის ძირზე იპოვეს მრავალი წყრილმანი ცხოველები, ზღვის ვარსკვლავები და ასე გასინჯეთ კობებიც კი აღმოაჩინეს.

1868 და 1869 წლებში დოქტორმა კარპენტერმა და პროფესორებმა უაიელიმა, ტომსონმა მ

ჯგერისმა და სხვა. უფრო შესანიშნავი გამოკვლევა მოახდინეს ზღვა-ოკეანეთა ძირისა.—სხვათა შორის ამით რამდენჯერმე ამოიღეს ოკეანეს ძირიდან ცომის მსგავსი, ნაძირალა ლეჭი და როცა ვახმეს, ნამდვილი მელი—თირი-ქვა გამოდგა. მიკროსკოპულ გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ეს ლეჭი უბრალო ტალახი კი არ იყო, არამედ შემდგებოდა პაწაწინა თვალთ უხილავ ლოკოკინათა მსგავს ცხოველებიდან (კორენოჯკი), რომელთაც არავითარი შიგნეულობა არა აქვთ და მთელი მათი ტანი ლორწოსაგან შედგება. ეს ერთი მარცვლი ლორწო (პროტოპლაზმა) შემოხლია ისეთი ნაქუჭით, როგორც კვერცხსა აქვს. როცა პროტოპლაზმა ხმება, ანუ კვდება, ცხოველისაგან მხოლოდ ნაქუჭი-ლა რჩება.

ამ აღმოჩენით სხვათა შორის ისიც დაამტკიცეს შეცნეობებმა, რომ სადაც დღეს ხმელეთზე, დედამიწაში თირქვას-მელს ვაოულობთ, იქ უწინ უცქველად ზღვა ყოფილა. მართლაც და, ამა, აიღეთ თირი-ქვა (მუხან) და მისი პაწაწი ნაქერი მიკროსკოპით გასინჯეთ, მთლად ნაქუჭებისაგან არის შემდგარი.

მაგრამ რა? ვანა მხოლოდ უბრალო, უხერხე-მლო ცხოველები ცხოვრებენ ზღვა-ოკეანეთა უფსკრულში? ჩრდილოეთ ზღვებში სამასი საყენის სიღრმეზე იპოვეს დიდრონი თევზები: ზეიგენი (აკულა) ყამბოლა და სხვა. უფრო კი საინტერესოანი არიან სამხრეთის ზღვების სიღრმეებში აღმოჩენილი თევზე-ბი, ავტრ სურათს დააკვირდით, რა ფორმის თევზია. აი, ევ რეგალი თევზი (Zanclus cornutus) თევზი-ვით გაპრტყელებულია, ტანი ყვითელი, ანუ თეთრი ფერისა აქვს და სამ ალაგას შავი ზოლებით არის აქრელებული. თვლებს შუა საკმაოდ მოზდილი რქა ეტყობა და ზემო ფრთაზე ბაწრის სისხო, შოლტი-ვით გძელი უღლაში აქვს გამოსული. ეს რქიანა თე-ვზი ზოგი ოცს გირეანქას იწონის. მაგ რქიანას ზემოთ მარჯვნივ რუ პატარა თევზია, მაგას ამფიტ-რიონი უწოდებს (Amphitriton lunicatus). ამფიტ-რიონი პატარა თევზია, ტყავი მოვლავრე აქვს და ფერად კი მათში ზოგი წითელია, ზოგი შავი და ცისფერი იქის. ამ პატარა თევზებს მარჯვის კუნძულების ახლოს უყვართ ცხოვრება.

იღ. ალხაზიშვილი
(შემდეგ იქნება)

ყ ა რ ა ლ ი
(მოთხრობა)

I.

შალამო ქაში იყო. სანატრელი ნიავი საყვარ-ლად ეთურსებოდა ბუნებას. მუშები ყანე-ბიდან შინ მოდიოდნენ. მწყემსები საქონელს მიარეკებოდნენ: ვინ ცხვრებს მისდევდა, ვინ ძროხებს და ღორებს მიერეკებოდა. ერთს წამს ხალხის მსვლე-ლობა შეწყდა. მხოლოდ შორს, გზის განაპირას მოჩანდა ახალგაზდა კაცი, რომელიც რაღაც ფე-ქრებში გატაცებული ზანათთ მოდიოდა. ქაბუცმა რა-მოდენიმე ნაბიჯი გადმოდგა და შეჩერდა. უცებ იმან მოჰქრა თვალი, რომ ქალმა მდინარეში გაადი-ნა ტყაპანი. აღუვებულმა ახალგაზდა კაცმა გაიძრო ახალგაზდა წყალში და მისცა თავი წყლის უფსკრულს.

ავტრ, მდინარე რაღაც დაკუმშული ბურთის მსგავსად ამოაგდო და ისევ პირქვე დაქანა. ყმაწვი-ლმა მოჰქრა თუ არა თვალი—გაექანა და რამდენ-სამე წამს შემდგვ გარეზამიხილი ქალი გამოიტა-ნა ხმელეთზე. ახალგაზდა ქალს კიდევ ეტყობოდა სიცოცხლის ნიშნები. ყმაწვილმა იქვე ხის ძირში მიიტანა და რამდენსამე ხანს შემდგვ ქალი გულ-

მკერდის სრესით და თავქვე დაკიდებით გონზე მო-იყვანა. ქალმა თვალები გამოაჭიკტა და ღრმად ამო-იხენწა. აღუვებული ყმაწვილი ცეცხლის მერქვევი გაურკვეველი თვალებით ჩაქეროდა ღონე-მხილვის უცხო ქმნილებას, თითქოს ჩაჰკითხოდა: „ნუ თუ არ გრძნობ, არ უსმენ შენთვის თავგანწირულის გულის-ცემასო!“. ვინ იცის, ეგებ ამდროს ყმაწვილი ქალიც ამასვე გრძნობდა და ფარულადღე აძლიედა პასუხს მაგრამ სად იყო სიტყვები, სად იყო რაიმე ღონის ძიება, ქალს ეს გრძნობები გამოეთქვა. დიდხანს იყვენ ქალ-ვაჭირ სულ განახლებლინ. შემდგვ თითქოს ღონე მოიკცო, ქალმა შეხედა ყმაწვილს გულ-ღმობიერად და წამოიკრინა: „ეინ რა დამემართა?.. ვინ არის ჩე-მი მხსნელი?.. ვინ ბრძანდებით ყმაწვილო?“. — თქვენ ახლა მოსვენება გეპრებოთ. ჩემი სახლი აქვე ახლოა, მხარზე დამეყრდნეთ და ნელ-ნელა მი-ვიღეთ შინ. ნუ ჩქარობთ. ჩემს ვინაობას შემდეგ შეიტყობთ, ახლა რა დროს მაგის კითხვაა? — უპასუ-ხა ზრდილობიანად ახალგაზდა კაციმ.

— არა მე შინ უნდა წავიდე — განაგრძო ქალმა.
— ბატონი ბრძანდები, მაშ სასახლეში წავიდეთ; მხოლოდ მეშინია, ცოტა შორს არი და ვაი, თუ გაგიპირდესთ იქამდის მისვლა. ძალიან დასუსტებუ-ლი ბრძანდებით.
— არა, უსათუთოთ სახლში უნდა წავიდე. იმე-

დი მაქეს, მიმაკილებთ.

გვაქმა აღარა უფხრა რა, მოკიდა ხელი და ორივენი ნელ-ნელა გაუდგენ გზას.

— ყმაწვილო, მითხარით თუ ლმერთი გწამსთ ეინ ზრძანდებთ? რა ანგვლოზმა გამოგვზავნათ ჩემ სახსენლად.

— მე ილიკო მქვია.

— გვარი?

— გვარი... გვარი რალათ გენბავსთ?..

— ნულა მაწალებთ, ამდენი მოთმინება აღარ შემძილა— უძღურად დაუმბა ქალიძა.

— გარდახეწვილათქო.

ამ სიტყვაზე, თითქმის ქალი შეკრთა და ერთ ხანს აღარა უთქვამს რა, დაღა სიჩუმე. ქალს თითქოს ეწმინდა საუბრის გავრძობა, მაგრამ ცნობის მოყვარეობამ აქაც სძლია და განუწყვარა კითხვა:

— აი, ის თელა გარდახეწვილამე ხომ არაფერია თქვენი?

— როგორ არა, იგი მამაა ჩემი, მერე თქვენ იცნობთ იმას?

— მევე მ... ეიცნობ, როგორ არა— გულ-ჩა-თხრობილად უპასუხა ქალიძა.

—

თედორე გარდახეწვილამე ერთს იმ გვარს ოჯახს ეკუთვნოდა, რომელსაც გარდა პატრიარქის შრომა მოუზაზისა; ლეთს მსაჯურებისა და მორჩილებისა არაფერი აკარებობდა. თედორეს მამის ოჯახი ზენდიერ ოჯახით მიანდათ მის სოფელში; მაგრამ თედორეს დაბადებიდან მისი მამის ოჯახსაც უკუღმა მიდიოდა. ერთ დროს თითოი საწინებელი გლეხის ოჯახი დღეს სრულებით დაიქცა, გათასირდა. ეინ იყო ამაში დამწავე? თეთით თედორე, მასი მშობლები, თუ ის საზოგადოება, რომელმაც აღზარდა და გაავარჯიშა თედორე გარდახეწვილამე, ამას შემდეგ დაენახათ, შაროდ დღეს ვერ გაგვიგია: რამ აიძულა ეს თავის ადგილ-მამულის ერთგული გლეხი, რომ აეზაკეთ გამხდარა, ყანადის სახელი მიუღია, თავის ეკრისათვის, თავის საყვარელ ცოლ-შვილისათვის ფეხი დაუქარეს და სადაც გადახეწვილა. ამას მეზობლები სულ უზრალა რასმე შემთხვევას აბრალდენ.

ერთ დროს ს. ტ—ში სიმონა გაუმძილარამე დიდი ავლა-დიდების პატრონი გლეხი იყო. როგორც შემოღებულნი გლეხი სიმონაც საკლებო სამართალს გინდ წოდება დაატარალდებდა და გინდ უკუღმა. სოფლის მოხელებს და ზოგიერთ მახრის წერილ ჩინოენიკობასაც სიმონა თუ ისურვებდა, „ბატი კუქუსაც“ ათამაშებდა. თედორეს მამის და სიმონას ადგილები ერთმანეთს საზღვრადენ. ერთი მეორის ადგილში

ყანებს რომ მოიწვედენ, შემდეგ საქონელი დაუდიოდათ საბალახით. ერთ საღამოს დაჭრილი და მთლად დამხინჯებული თვის მეწველი ძროხა მოაღდა კარზე სიმონას. ამის დამწავეთ, რასაკერძეელია, ან თედორე, ან მამა მისი უნდა ყოფილიყო, რადგან სიმონას აღნი და ხნიდან ჰქონდა ადგილი კბილები მის მეზობლებზე. სიმონამ რამდენჯერ მოინდომა შეევიდა თედორისა და მის მამისაგან მოსახლერე ყანები, მაგრამ ისეთი რა გაჭირებდა თუნდა დაღვამოდა თედორეს ოჯახს, რომ თავის საზრდო მიწა-ყანა გაეყინა. ერთ დღეს, თედორე სრულებით მოულოდნელად დაიჭირა ტ—ის მამასახლისისა და სოფლის სატუსაღოში ატუტევა თავი. თედორემ დიდხანს ვერ გაავო მიზეზი ამ გვარი დაჭერისა, ამგვარად დაუმსაპურებელი სასჯელისა.

თედორე სრულებით ალაღ-მართალი გლეხი გახდა, მსხერპლი ზნეობითი დაცემულობისა. ამ შემთხვევას შემდეგ ხალხის თვალში, თედორეს დაეკარგა ნდობა, პატარისცემა და სახელი. როგორც რომ თედორე დაიწყებდა ვისმეზე საყვედურს, მაშინვე პირში მიახლიდენ: „ეინ სატუსაღოში ნამყოფი კაცი და ეინ მაგისთანა ლაპარაკოა“. როცა თედორეს დასახელებდენ სოფლის ყრილობაში რაიმე სოფლის მოხელეების თანამდებობის აღსასრულებლად, მაშინვე ხალხი შეჰქმნიდა ყაყაშს: „იგი ნაპასუდარია“—ო, როგორ შეიძლება მისი ამორჩევაო“. თუ ეინვე ლეთსნიერი კაცი აღმოჩნდებოდა და ყრილობას ეტყოდა: „ხალხო, რას აგიბირებთა ნაპასუდარო? მართალი ვგონებ კაცს, რომ თედორე რაღაც დიდი დამწავე ყოფილა და სამართალში მიუფიქრო. უჰ, დიდი ამავე მომხდარა, თუ რაიმე მხეცური ღინის მოსაკლავათ, მამასახლისმა კაცი ერთი ორი დღე სატუსაღოში დააბატმარა“, მაშინვე პირში წაუდგებოდენ და ეტყოდენ: „არა, ჩემო ძმაო, აქლემის ქურდი და ნემისა ორივე ერთია, ორივე ქურდებოა; მარხვას თუ დარღვევ, გინდ ცოტა გიქმნა და გინდ ყვლამის გამაძლარხარ ხორციით, სულ ერთია, ნაზობაზეო“ კაცმა ერთი საათი რომ გაათავს, მაინც გლანდული და „ნაპასუდარო“ ითქმისო. დაჭრილი თუ ხარ, გინდ ერთა წელიწადი ყოფილხარ და გინდ ერთი დღეო. აი, ამგვარ შეხედულობისა არის სოფელი ყოველ დასჯილ გლეხზე და ამას შემდეგ თქვენს მიხედვებით, თედორეს რაღა ნიჩად გავძლებოდა თავის საზოგადოებაში.

დღე დღეზე მიდიოდა და თვე თვეზე. თელა და ხალხი ერთმანეთს სულ უფრო-და-უფრო შორებოდენ. საზოგადოების თვალში თედორე მოღალატე და ქურდ-ბაკაცით იხატებოდა. თელა

რეც კარგათ გარძობდა ამას და რაც შეეძლო მოარიდებულათ იყო თავის თემში, ცდილობდა თავის მწარე ხედვრს დამორჩილებოდა.

ერთ დროს გავარდა ხმა, რომ ვიღაც საფელში მოსაირაულე ებრაელი გაუცარცევით და ერთი გამცარცველთაგანი თვედრე გარდახვეწილადეც ყოფილაო. გაცარცულს ებრაელს ისეთი ნიშნები უჩვენებია, რომ ტ—ის მამასახლისს უთქვამს: „ეს სწორეთ ჩვენი თელა იქნებაო. აი, უფურე იმ შეჩვენებულს! გუშინ წინ გამოუფეში და რა ჩაუდენიაო!!“ ამ ხმებს ვინ იცის, რანაირად ატრიალებდა ხალხი! ჩასაკვირელია, ხნამ თელამდისაც მიაწია. თელას მწუხარება და ოხერა ზევით ცას აწუხებდა და ქვევით დეამიწას. ერთ ღამეს თელას თვალები არ დახუჭულა, მის თვალებს ლულეც არ მოჰკლებია. საბრალომ მუშაობას გული აუტრია და მუდამ ამ მწარე ფიქრებში იყო გართული: „ევი, თუ მართლა ფიქრობენ ჩემზე და დამიჭირონო?! ნუ თუ სიმართლე ყველგან დაინაგრება, ნუ თუ ბოროტება ჩაქუჩავს ჩემ სიმართლეს და უბრალო საწყალ გულს მომაშორებენ ჩემს ტკბილ ცოდ შვილს, ჩემს გულს და ღირებულ ქონს; მაგრამ ან კი რას ექვემდებარას და ღირებულ ქონს; მაგრამ ან კი რას ექვემდებარას? ანა? პირველად არ ეიყავი მართალი?“. განა ჩემ სიმართლეს არ შეეძლო გამოეჩინა თავი, რომ მიქმელს მსმენელი, გულის ხმის მყოფელი ყოლადა? მაგრამ რა შეუძლია ბედზე გულს იქ, სადაც შეძლება, ნაცნობობა, ძალა და ნათესაობა ერთმანეთთან დაკავშირებულნი გინდ აღმართს ახვეწინებენ და გინდ დაღმართს. არა, ჩემი სიმართლე ისე და მალაობს ნაობახტში, ჩემი სიმართლე სინათლეს გამოილევს, თქვა ეს და ილიკოს საწოლისკენ გაექანა, ნელ-ნელა საბანი გადააპრო, გრძობით შეუბღზე აკოცა და გულ-ამომჯღარმა ქეთიანით ჩაუღლაჩაკა: „მშვიდობით, შეილო! ღმერთმა ჰკითხოს მე და შენი ცოდვისათვის მას, ვინც მიძკლებს შენს მოშორებას. ღმერთმა შემაძღებინოს, შეილო, მათი შეურისიძება და ჩემი ასე უბრალოდ დატანჯვისათვის მაგებრი გადამხდევინოს“.

ამ მწუხარებაში ცივი ერთმლი დეცა ილიკოს ლოყაზე. ილიკო გაიშეშენა, მეორე გვერდზე გადაბრუნდა და ისე ტკბილ ძილს მიეცა.

თელამ თავისი თოფი და ძველი ხმალი კედლიდან ჩამოიღო და ჩუპ-ჩუპით, ფეხ-აკრეფით გამოვიდა ოჯახიდან. ეს იყო და ეს, მას დღეს აქეთ თელა მხეცივით დადიოდა და ათენებდა დღეებს ხან ხის ძირში და ხან მინდარ-ტყეებში.

მეორე დღესვე გავარდა ხმა, რომ თვედრე გარდახვეწილამე ყაჩაღთ გავარდნილაო. ახლა კი სრულებით დარწმუნდა ხალხი, რომ თელა დანაშაუდამე ყოფილაო: „თუ პილილი არ გიქმნია, პირი

რათ გეწეოსო“ ამბობდენ გლეხები.

სხრა წლის იქნებოდა სწორეთ ილიკო, რომ მამა მისი თვედრე ოჯახს მოშორდა და მხეცივით ემალებოდა მართებლობას. თვედროეს სახელი და გვარი და მასთან მისი პირის სახეც ყველა მაზრის უფროსებს ჰქონდა მიღებული და ჰდევნიდენ. ეს იყო კიდევაც მიზეზი, რომ თვედრე გარდახვეწილადის სახლის ხსენებაზე ის წყლიდან გამოყვანილი ქალი შეკრთა და ჩამდენსამე ხანს ჩაფიქრდა.

სალომე (ასე უწოდებდენ იმ ყმაწვილ ქალს) ეახტანე ქარქვეტაშვილის ასული იყო.

II.

ეახტანე გურგენის ძე ქარქვეტაშვილი იმერეთის გამომჩინოს გვარს ეკუთვნოდა. მის გვარისეულიობას და თან მჭიდარ ნათესაობას დიდა კავშირი ჰქონდა ეახტანეს მომავა უცხოერებასთან. როგორც გვარისეულიობით ისე ნათესაობითაც დიდა პატეისაცივი კაცი იყო. ეს პატეისაცივა კიდევაც აჩნდა მის ცხოვრების მსვლელობას და სამსახურში წარმატებას. ეახტანე გიმნაზიის მეორე კლასიდან იყო გამომხტარი, მაგრამ ბუნებითი ჭკუა, გამჭირაობა, მოქნილი, მოთასხული საქციელი და ციერება კი უხვად ჰქონდა ლთისაგან მიანიჭებული; თვალ-ტანადაც ასში გამოსარჩევი ვეც-კაცი იყო, კიდევაც ბევრი შენატროდა ცნაწვილობაში მის ახივანს ტანადობას, მის შეაბრიალა თვალეებს, გრძელ წვერებს, ზედ გადაგრებილ გრძელსავე უღვაწებს. ეახტანემა თავის სამსახური მაზრის კანცელარიაში დაიწყო მწერლად, ისწავლა ღამაში ხელი და გულენიანი ნათესაეების მეოხებით მალე წაღვა წინ ნაბიჯი, მოაკიდა ფეხი, ის არასფერს, ხალხისთვის მაენე მოქმედობას არ ერიდებოდა. მთელი ცხოვრება და მოქმედობა ეახტანესა მარტო პირიმორთებისა, ლაქაუტებისა, სიცრუისა, სიბოროტის მერტს არას წარმოადგენდა. სულით და გულითაც რომ სურებოდა კეთილი საქმე, მისი გული და მიმართულება მაინც სიმრუდეს ადგა, სიცრუისაკენ იწვედა.

თუმცა სამსახურში ბოძობლების მეოხებით არ გააღდათ დაჩაგრული, მაგრამ თვითონ კი არც ბედნიერი იყო: ხალხს ჰქმუნდა, ავი სენივით ეწინოდა; წერილ-ფეხა ნათესავ-ნაცნობები დაუნდებელი და ექვის თვალით უფურებდენ; პირველი ცოლი სიყმაცწვილემევი შეიერთა, მაგრამ ვის შეეძლო ეახტანეს ხასიათის შემაგრება—ორ წელს შემდეგ ცოლი საუკუნოთ გამოასაღმა ამიერი წუთისოგვეს. ამას შემდეგ დარჩა ხანი ობლათ ერთადერთი ქალი, რომელსაც მონათლისდროს დედის სახელი „სალომე“ უწოდეს.

სალომე კარგი მარილიანი კნაიქა შეიქნა. შავი თვალ-წარბი, არწივის მოქნილი ცხვირი და ჭკუით

სასეც ცოცხალი თვალებით სულ ცხონებულს დედა მისს სალომეს მოაგონებდა მწახველს. კაპწია სალომე ავერ თორმეტ-ცამეტის წლის გამხდარიყო და ვახტანგი მისს სასწაულთქმელში მიტყუვას არც კი ფიქრობდა. ნასწაული ქალი კი არა კაცებიც არ მოსწონდა, რადგან, მისი აზრით, ნასწაული კაცები უთავებოლონი იყვენ, გულცივით უყურებდენ ყველაფერს: მამა პაპუელი ადგილ-მამული ან ბანქოს თამაშში უნდა წავგოთ და ან, რაღაც ვაჭვით თვატრებია, იმაში უნდა მიეფლანგათ. ეს ხომ კაცებია, ახლა ნახეთ ნასწაული ქალები რა ამბებს ჰხადიან: ჯეპარ-დაწერილი ქმარი მათ ქმრათ არ მიაჩნდათ, ქორწინება ზ ეპკრული შეუღლებდა მათ თვალში ერთი იყო. მინამ მომწონხარ, ვიცხოვრებ შენთან, თუ სხვა მომეწონა—შენთან ნურას უტკრავადო.

ასეთი აზრის და მიმართულების მამა, თქვენ თვითონ მიხედვით, რა სწავლა-განათლებას მიტყუვდა თავის ერთად ერთ ნუტყვს—სალომეს.

სალომემ თავის მამის ოჯახშივე მიიღო განათლება. პირველად წერა-კითხვა თავის დედის დისა-ვან ისწავლა, რომელიც მთელ თავის სოფელში ნასწაული ქალათ ითვლებოდა. როგორც ძველ დიდ გეგრეულობის ოჯახის შვილს, სალომეს დედასაც საშინლად უყვარდა თავის საშობლობო ენა, დიდი სიყვარულით, პატყისციემით ადგენებდა თვალყურს ყოველ წარმატებას ქართველ საზოგადოებისას, მამა-პაპუელი ქართული წიგნები და გამოცემანი თუ საღმე მოიძებნებოდა ჩვენში—უსათუოთ მის ოჯახში რა ნახავდით. ქართულად ჩაქმა და თავხურეა, სიმირეა, შეტყველა, სათამაშო, სათაფები თუ საღმე იყო ნამდვილ ქართულ წესზე - ეს უსათუოდ სალომეს დედის ოჯახი იქნებოდა.

ამგვარ მის ცხოვრებას არც სალომესთვის ჩაუვლია უმნიშვნელოდ, კვალ-დაუწყნლად.

სალომე თორმეტა წლიდან მის ხელმოძღვანელობით ვარჯიშობდა, ვიწვებით იწვრთნებოდა. ქართული წიგნების თვალ-ყურის დევნა და მისი ვიწვინება კიდევ უფრო-მეტი სალომესთვისაც ვახდა, „არსებით პურად“. სალომე ნამდვილ ქართველურ მეოჯახობას, თავის დედა ენაზე დლაგებით მუსიკის, მსჯელობას და წერა-კითხვას ბეგრი ჩეგნი ვიწვინაზია ინსტიტუტებ გათავებულნი „დილობიანი“ ქალები შენატროდენ. სალი ტყინი, სალი ჭკუა და უმანკო, შეუბღალავი ზნეობა სილამაშესთან კიდევ უფრო ეწვინანდა და მიმშვიდელი ქალად აჩნდა მას. მაგრამ რაღა სალომე და რაღა მისი დედინაცულის სილამაზე, სიკოხტაე და მოქნილობა! სალომესა და მისი დედინაცულისათვის რომ შეეცხებათ სიყვარულით და სილამაშით ერთმანეთთან ვერ გავარჩედი. ეწვინანი

სახე, სიკოცხლით სასეც თვალები და ტან-წერწეტად დედის ნაცული ამა სოფლიდან განდევლოსაც რაღაღაც აქიქრებინებდა.

ერთად სვირნობის დროს ვერ ივიქრებდით, თუ შვილი და დედის ნაცული დები არ იყვენ. მოალერსე რაინდებმა არ ცოლენ, რომლისთვის მიტყუათ უპირატესობა. ვახტანგი სამცხე წვერიანს ვადასული სამსახურისაგან მოტყვნილი, დაქანცული, სასეც და-მტყნარი და გათვთრებული იყო, ცოლი კი ვარდის კოკორივით ვადასული-ვახანდრული, ლომის ლეკვის მზგავსად საალერსო. სათაყვანებელი, სიკოცხლით სასეც, ცხოვრებაში მწვავე სიყვარულის სიტყვების მიტყნელი. რა ვგარი ვაწყობილება და ცოლ-ქმრობა ექნებოდათ ამგვარ ერთმანეთის მოწინააღმდეგე პირებს, ამას მკითხველიც კარგათ მიხედება.

სალომეს წმინდა ჰაერში ხშირ-ხშირად სვირნობა და დაბის მოშორებულ მანძილზე ქვევითად წასვლა ძრიელ უყვარდა. თუ კი ამიდი ნებას მისცემდა დალიდა საღამომის სულ სვირნობაში და წმინდა ჰაერში ატარებდა.

ერთი ვერსის სიშორეზე შეგვიერთ შემობახავებულნი ტყე ვრტყა ვარს იმ დაბას, სადაც ვახტანგი მსახურებოდა. ამ ტყეს წინ პატარა მწვავე ველი ვაურბოდა, იქვე მგორე ვეგვრით მქვევარე მდინარე და მდინარის ვაღმა პატარა სოფელი ვრტყა. ახალ ვაზაფხულზე სწორეთ რომ სანატრელი სურათს წარმოადგენდა ეს პატარა ტყე-ბაღა. თვექორიარა სეგნი შემინახებოდა თუ არა მწვანის ხავერდის მანტილი, აყუადებოდა სხვა-და-სხვა სასამაოენო ვერად და ისეთი არამატრული სუნეწვლებით მოიცვოდა არე-მარე, რომ ამნახვების ველი და სული უტყეთის ბუნების სიშვენიერით იშვათად დატყებოდა. იქვე ჩიტების ყვილ-ხვილი ვართობდათ; ფუტყრების ფრენა და მოწიწებით ზუზუნე, მუშაობა ყუადებში ხომ ყურებს ვაგვიტყდათ.

ეს ზუნების სიშვენიერე არც სალომესთვის იყო უცხო. ოჯახში რომ იყუყე-მოაწყობდა და მიაღებდა ყოველ ვერსს, შემდეგ სალომე მთელი ვაზაფხული ამ მწვანე ველს ტრტებ-ვაშლილ და დახარდახებულ ხეს ქვეშ იჯდა და ქართულს წიგნებს ჰკითხულობდა, იქვე ვეგვრით ან ვაღა, ან თავის დედინაცული უჯდა და ტყბილს, შორს ვამტყუვბელს ოცნებას მიეცეოდა ხოლმე.

ვაზაფხულის ხომ ასე ატარებდენ. ვაზუხული დადებუბა თუ არა, ყოველ დილა-საღამოს სალომე ამ პატარა, მაგრამ ვეყმე მდინარეში ბანაობდა. არა ერთხელ დამტყარა სალომეს დედინაცული ამ საბოგენებით, მაგრამ იმ საღამოს, რომელიდანაც ჩეგნი მოთხრობა იწყება, სალომეს დედინაცულისათვის არ შეეტყობინებია და საბანათ მარტო წასულიყო, დაახლოვებოდა მქვევარე კიდეს, თვალე წასვლოდა და ტანსაცმელიანა შიგ ჩავარდნილიყო.

(შეგვგე იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

განხილვა

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატების გაცემა

„ ო გ ა ლ ი “

გამოკ 1894 წელს ყოველ გვირში ერთხელ ერთიდან სამ თანასამდის იმავე პროგრამით რედაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს გაუმჯობესოს შინაარსი და სახე გავითისა. ამ განხრახებით მან დაიბარა პეტერბურგიდან მრავალი საუკეთესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა.

გავითი წლიურად ღირს: გაუგზავნელად შუაი მან., ხოლო გაგზავნი რვა მან. ნახევარის წლისა გაუგზავნელად სამი მან. და ათი შუაში, გაგზავნი 4 მან. სამი თვისა გაუგზავნელად 2 მან., გაგზავნი 3 მან. თითო ნომერი 20 კაპ.

ხელის-მოსწავლა მიიღება

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლის ქართულ სახალხო სამკითხველოში, *წერა-კითხვის* საზოგადოების კანცელარიაში და თვით ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთა შეუძლიათ მიმართონ: „კვალის“ რედაქციას **Тифლის Редакция „Квали“**, (Большая Водовозная, № 22, домъ Айвазова.

ქალაქ გარეთ:—ქუთაისში: სხეთა შორის ე. ბეჭანიშვილისა და ხეთერელის წიგნის მაღაზიებში.—ათყშვი: მათე ნიკოლოძის ტურნალ-გაზეთის სააგენტოში და ეფანე სიმონისძე მესხთან —აქოში: ესტატე ბორისისძე ამაშუკელთან.—გარში: ზაქარია დავილოვთან.—უგარდაში: თ. ხუსკივაძესთან, ფოთში: საფორმ მგალობლიშვილთან.—ახალსუბუში და ოსურგეთში: კ. თავართქილაძესთან.—სანხურში: ყარამან ჩხეიძესთან.—თელავში: მ. ცისკარაშვილთან.

წლიურ „კვალის“ ხელის-მომწერლებს 1894 დაურიგდება საჩუქრად მხატვრობა „საქართველოს დიდება“ სამხრეთლო და სასოფლო სკოლის მასწავლებლებს და სახალხო წიგნის საკითხავებს დაეთმობათ „კვალი“ 7 მ.

ტფილისის ქალაქის საქართველო საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ ამ წლის თორმეტ მაისს შუაღლისას ქალაქის საკრედიტო ბანკის გამგეობის დარბაზში, რომელიც მდებარეებს ბაღის (სადოვოი) ქუჩაზე ქუჩარიაჟის სახლში, დანიშნულია **საბოლოოდ ვაჭრობა** უპრეტორაკეთ სიტყვიერი შევაჭრებით, ან დაბეჭდოლ კანფერტების მიცემით, რომ დიდი ხნის ფაქტით იჯარით გასცენ **ღინძრალ-ლიბიტანების ტარ-საბაჭროვის სახლი** და ღუქნები, რომელიც მდებარეობენ პუშკინისა, ტალახისა და სომხის ბაზრის ქუჩებზე.

იჯარით გასაცემი პირობები შეუძლიათ მსურველთ შეიტყონ თვით ქალაქის საკრედიტო ბანკის გამგეობაში ათ საათიდან ორ საათამდის ყოველ დღე, უქმეს გარდა, სამ მაისიდან დაწყებული.

როგორც, ბულკები, ტორტის ნაჭაურები, პაპიროსები, კანფეტები, ლიმონები, ფორთოხლები (აპელ-კინები) და ყვეალები. ეს ადგილები მდებარეებენ გალაენის პროსპექტზე, ერევნისა და კახეთის მოედნებზე და კაზოინი პალატის სადგომთან, სამი ადგილი აგრეთვე გაიქვმა იჯარით კიოსკებისათვის ალექსანდროვის ბაღში.

(2—1)

დაინახა და გამოიცა

სრულად სამხითის პატრიარქ-კათალიკოსი

მკრქიჩ I-ის,

ზრემიან ჭაბრიკის

დიდი სახე (18/11 გოჯი ნახატისა, 20/14 გოჯ ქალაღზე), უკანასკნელ ოთხ-გვარ სურათებთან ერთად შედარებული და ნამდვილი ფოტოგრაფიის მსგავსად (ტექს თერად), შეწინიერათ ნახატი, ძვირფას ქალაღზე.

ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქალაქის დარბაზში ათ მაისს 1894 წელს თორმეტ საათზე დანიშნულია ვაჭრობა ათ ადგილსავე ფარდლებების (კიოსკების) გასაცემებლად, რომ შიგ ჰყიდონ ზელტერისა და სხვა გვარი მადნის წყლები; აგრეთვე რძე, კუმისი, კვეფი, პი-

თითო კალის ფასი არის **მრთი მანეთი**, რამდენიმე კალს ერთად ვინც იყიდის იმათ დაეთმობათ. **იქიდება:** სასაბლოს ქუჩაზე ზღობერტის მალაზიაში (უწინდელი ილიცისა) ქალაქ გარეშე მცხოვრებთა და რამდენისამე ნახატის ერთად მყიდველებმა კი უნდა მიმართონ შემდეგი ადრესით: **Варгатионская улица, домъ Захарбегова №186**

Г. Хрюси და პ. ს. ხასადაროეს; Общественная ул. фотографу С. Хасадарову № 8. собр. домъ.

დაიბეჭდა და ისყიდება
წერა-კითხვის საზოგადოების და აზნანავობის წიგნის მაღაზიებში

რ ა მ დ ა ნ ი ე მ ე მ ი თ ს რ უ ბ ა

ნათარგმნი სომხურიდან და ტერ დავითიანცის მიერ.

ფასი 25 კაპ.

მთარგმნელს უნდა მიმართონ შემდეგი ადრესით: **Тифлисъ, Ванкекiй переулокъ д. Месропова № 2.**

დაზღვევის საზოგადოება

ი ა კ ო რ ი (დუს)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს, რომელსაც ძირითადი თანხა 2,500,000 მინეთი აქვს, გარდა სულადის ფულისა, ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სოცოცხლის განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მიიღება ყოველნაირი მოძრაეისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან, აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასალ-წამოსალების საქან-ლის დაზღვევა ცეცხლისაგან. წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომელიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარანის ქუჩაზე, კალოუბენელის სა-

ხლში, თუ არა თვით საზოგადოების ავერტის აღე-ქსანდრე პეტრეს ძის ზაერეივისაგან, რომელიც დგას ევლიამინოვის ქუჩაზე № 2.

რაინის ვზის მიმოსლა

ტფილისიდან ბათუმს მიღის საფოსტო მატარებელი №-2 9 ს. 30 წამ. დღ. და № 4—6 ს. 50 წამ. სად.

ბათუმიდან ტფილისს მიღის № 1 9 ს. 45 წ. სად. და №-3 11 ს. 25 წამ. დღ.

ტფილისიდან ბაქოს №-3 მიღის 1 ს. 20 წამ. დღ. ბაქოდან ტფილისს მიღის 5 ს. 50 წამ. სად.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდან განჯას მიღის 9 ს. 20 მ. სად.

განჯიდან ტფილისს მიღის 1 ს. 30 წამ. დღის.

ტფილისიდან ხაშურს მიღის 3 ს. დღ. ხაშურიდან ტფილისს 8 ს. 11 წამ. დღ.

მიმოსელა ცეცხლის გემებისა შაეს ზღვაზე.

ბათუმიდან გადის:

ხუთშაბათობით: დღის 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოსიასკში და კერსში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შედ. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

ბათუმიში მიდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოსიასკით და სხვებითა

ოთხშაბათობით: დღით სწორე გზით ნოვოსიასკით და სონუმით.

პარასკევობით და ოთხშაბათობით სად. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ფოთაში მიდის:

საფოსტო და სამგზავრო ბათუმიდან კვირა დღით, განთადისას.

პარასკევობით: საფოსტო და სამგზავრო.

სამშაბათობით: დღისით სამგზავრო და საქონლის ოლქსიდან.

ხუთშაბათობით: დღისით სამგზავრო და საქონლის ბათუმიდან.

ფოთიდან გადის:

პარასკევობით: ნაშუადღევს ორ საათზე საფოსტო და სამგზავრო ოლქსაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის ხუთ საათზე.

ხუთშაბათობით: საუოსტო და სამგზავრო საქონ-გათაკვას შეივლენ ბათუში.

სამგზავრო და საქონლის ბათუში, სამშაბათობით, დღის 10 საათზე.

სამგზავრო და საქონლის ხუთშაბათობით ოლქსაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის.

საქონლსა და სამგზავრო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებან უსაგზლოდღი.